23.10.2013 №357

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
№ 143/01-07-09
"22" 10 2013 წ.
ჭავჭავაძის გამზ. №1, 0179, თბილისი, საქართველო
1, TCHAVTCHAVADZE AVE., 0179, TBILISI, GEORGIA

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორის მოადგილეს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილის
მისამართი: თბილისი, რაზმაძის ქ. №15
ტელეფონი: 555 26 09 27

ბატონო პაატა,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013 წლის 1 ოქტომბერს 31051/02 სარეგისტრაციო ნომრით შემოსული თქვენი 2013 წლის 30 სექტემბრის №575 წერილის პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით დადგენილი წესების შესაბამისად, გაცნობებთ შემდეგს:

2012 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების კონტრაქტით გათვალისწინებული სახელფასო პირობები განსაზღვრული იყო „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ", უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის №7/2012 დადგენილებით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.tsu.edu.ge.

2013 წლის სექტემბრის მდგომარეობით, უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დეკანის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2[1] პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებით ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ'' განისაზღვრა პროფესორთა თანამდებობრივი სარგო და დანამატები (აღნიშნული დადგენილება ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.tsu.edu.ge).

ამასთან, დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას რექტორისა და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის თანადებობრივი სარგოების შესახებ (იხილეთ დანართი 1).

ზემოთაღნიშნული ინფორმაციის ოფიციალურად დამოწმებული ასლები გადმოგეცემათ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (თქვენს მიერ გადასახდელი თანხა შეადგენს 0,10 ლარს).

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

ლიკა კილაძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

			დანართი 1
		2012 წელი	2013 წელი
N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
	რექტორი	4,900.00	4,590.00
	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	4,500.00	4,420.00
	რექტორის მოადგილე	3,500.00	3,500.00
	ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	2,800.00	2,800.00
	ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე	1,600.00	1,600.00
	რექტორისა და აკადემიური საბჭოს აპარატის უფროსი	2,110.00	2,110.00
	რექტორის თანაშემწე	1,840.00	1,840.00
	წარმომადგენლობითი საბჭოს აპარატის უფროსი	1,690.00	1,690.00
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	2,600.00	3,740.00
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	1,950.00	1,950.00
	დეპარტამენტის უფროსი; ცენტრის უფროსი	2,110.00	2,110.00
	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1,690.00	1,690.00
	განყოფილების უფროსი	1,270.00	1,270.00
	განყოფილების უფროსის მოადგილე	1,080.00	1,080.00
	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი	2,400.00	2,400.00
	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე	2,200.00	2,200.00
	აუდიტორი	1,680.00	1,680.00
	ექსპერტი	1,680.00	1,680.00
	ექსპერტი (სასწავლო პროცესის საკითხებში)	1,000.00	1,000.00
	გამომცემლობის დირექტორი	2,110.00	2,110.00
	გამომცემლობის მთავარი რედაქტორი	1,410.00	1,410.00
	გამომცემლობის დირექტორის მოადგილე	1,270.00	1,270.00
	გამომცემლობის ოფის-მენეჯერი	780	780
	გამომცემლობის უფროსი რედაქტორი (აკადემიური გამოცემები)	1,055.00	1,055.00
	ელექტრონული გამოცემების მენეჯერი	1,200.00	1,200.00
	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	2,500.00	2,500.00
	ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი	2,000.00	2,000.00
	ევროპული კვლევების ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი	1,000.00	1,000.00
	მულტიმედია ცენტრის დირექტორი	1,500.00	1,500.00
	მთავარი სპეციალისტი	850	850
	უფროსი სპეციალისტი	730	730
	შენიშვნა: მთავარი და უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო ყველა სტრუქტურულ ერთეულში ერთნაირია		

	ფაკულტეტი		
	დეკანი	2,400.00	1365-დან 3740-მდე
	დეკანის მოადგილე	2,000.00	2,000.00
	დეკანის თანაშემწე	730	730
	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	850	3,168.00
	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	780	780
	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი	780	780
	რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	780	780
	კანცელარიის უფროსი	780	780
	უფროსი სპეციალისტი	730	730
	მდივანი	540	540
	მასწავლებელი (ეკონომიკა და ბიზნესი)	960	960
	პროფესორის ასისტენტი (ეკონომიკა და ბიზნესი)	730	730
	ლაბორატორიის გამგე	730	730
	მასწავლებელი (ზუსტ და საბუნებისმეტყველი მეცნიერებათა ფაკულტეტი)	500	500
	უფროსი ლაბორანტი	420	420
	ლაბორანტი	385	385
	უფროსი ინჟინერი	420	420
	ინჟინერი	385	385
	პროფესორის ასისტენტი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი)	540	540
	ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი		
	ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი	2,300.00	2,300.00
	ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილე	2,150.00	2,150.00
	ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დირექტორი	2,050.00	2,050.00
	ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	1,270.00	1,270.00
	პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორი	1,900.00	1,900.00
	მდივან-რეფერენტი	730	730
	ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის რეგიონული ცენტრი დირექტორი	1,900.00	1,900.00

TBILISI
კანცელარია
Chancellery